




ნახ. შ. შალვაშვილი

— ვაძულებთ, უფროსი მოციხეები რომ გრძნობდით; რეზერვების  
გამოყენება გიშვარით!



### პარლო კალაქე 70 წლიანა

გამოჩენილ ქართველ პოეტს, დრამატურგსა და საზოგადო მოღვაწეს კარლო რაჭდენის ძე კალაქეს დაბადების 70 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავი შეუსრულდა.

კარლო კალაქე ექვსი წლის მანძილზე რედაქტორობდა ჟურნალ „ნიანგს“.

ახალი ქართული პოეტური აზროვნების ნათელგამოსახულება კარლო კალაქის პოემები: „თბილისი“, „ძახილი“, „უჩარდიონი“ და ლექსების ციკლი „ხერთვისის განთიადი“.

კარლო კალაქე მეშვიდე ცას შვიდი დრამატული ნაწარმოებით „ეახლა“. ეს ამავი თავის დროზე კოტე მარჯანიშვილმა დაუფასა და მისი გმირები სცენაზე ამეტიყველა.

ჟურნალ „ნიანგს“ რედაქცია მხურვალედ ულოცავს გამოჩენილ საბჭოთა პოეტს კარლო კალაქეს სახელოვან იუბილეს და უსურვებს მას ჯანმრთელობასა და შემოქმედებით გამარჯვებებს.

დაე, მუდამ „ღიმილით შეჰყურებდეს თავის ჭადრა სიჭაბუქეს!“

ბატონ კარლოს ჟურნალი „ნიანგი“ სიყვარულით უმღერებს მისსავე ლექსით — **თოვლი მოსულა...**

თოვლი მოსულა? — რა თოვლი, რაა ჭადრა, ჩემს ღიმილს თოვლი ნიავქარმა შემოაყარა!  
თოვლი მოსულა? — ვიმეორებ და უნებურად ვშიშობ არ მითხრან: დათოვლილა, დაბერებულა! გაფუჭრდები და იმედიც მაქვს ამ გულისა — თოვლქვეშ ყოველთვის სიჩუმეა გაზაფხულისა...  
თოვლი მოსულა? — რა თოვლი, რაა ჭადრა, თუ წუთის ერთმა ნაპერწკალმა კვლავ გამახარა! ვაშლის ტოტივით აფუფქდები, ავლაქაქდები, ისე, რომ ისევე შემნატროდნენ ახალგაზრდები!  
ცად გავშილი მკლავებს და იმედიც მაქვს ამ გულისა — თოვლქვეშ ყოველთვის სიცოცხლეა გაზაფხულისა!

# სასულა უენიო, სსკაპაუ ნაშიო

მაწვნისფერი „ჟიგული“ ეზოში გაჩერდა. საქესთან მდგომი განქანდიან გადმოვიდა და სადარბაზოს შესასვლელთან ჩამოკლა. „მაწონი, მაწონი, მაწონი“ გაისმა ავტომობილიდან.

მაწონი გაიყიდა. მემაწვენემ ცარიელი ბანკები ყუთში ჩაალაგა, სავსე ჯიბით მანქანაში ჩაჭდა, მაგნიტოფონი გამორთო და ავტომობილი ნელი სვლით ეზოდან გაიყვანა. ნაცრისფერი ვარი და ქრემი სურჩინში ჩატვირთული მაწვნის ქილები გაგვასხენდა. ამ დროს ჩვენს გვერდით ცოცხალი ქათმებით დატვირთული „ჟიგული“ გაჩერდა. ქათმები ისხდნენ საქეზე, სარკეზე, სავარძლებზე, ტორპედოზე.

— რომელი მოგართვათ? — გვეკითხება მძღოლი-მექათმე.

ტორპედოსკენ მივუთითეთ.

„ჟიგულის“ კარი გაიღო, ქათმები აკრიახდნენ. ტორპედოზე მჭდარი დედლის ადგილი მამალმა დაიკავა.

— აფსუს, რა მანქანას კორტინან? ვაი, მაგის პატრონი! — ჩავილაპარაკეთ.

— „აფიციალნი პატრონი მე არა ვარ, რამდენიც გინდათ ღანძღეთ, დავეროსტით ვიყიდე“.

მოდიო ქათმის ოფიციალური გამოყვებისა და ავტომობილის არაოფიციალური პატრონის მიერ წარმოქმნილი რთული წინადადება მარტივად ავხსნათ, ზოგიერთი ფაქტების დახმარებით. პირი სისკენ ვქნათ და ისე დავიწყეთ: სამსახურში სარგებლობთ ავტორიტეტით, მუშაობაში არგი მაჩვენებლები გაქვთ. ერთი სიტყვით, დაიმსახურეთ და თქვენმა ხელმძღვანელობამ ნაღდ ანგარიშზე შესაძენად მსუბუქი ავტომობილი გავცილო. დაგებადათ აზრი, მოდი ავტომობილების სახით ჩემს ავტორიტეტს გავცილო, ნაღდ ანგარიშზე. წავალ ე. წ. ავტომობილების ბაზარში და ვიტყვი: „ავტომობილს მამლევენ, წამომეყვი მაღაზიაში, ავტომობილის ღირებულება გადაინადე, მე ჩემი ავტორიტეტისა გადაინადე. სამაგიეროდ მოგცემ მინდობილობას, მანქანა სახელად ჩემი იქნება, სახრავად შენი“.

რა შკვია ამ კომბინაციას და ვინა ხარ შენ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იოლია და თანაც უხერხული, მაგრამ ფაქტი ჭიუტია. ფაქტები თავისას დასაბუთებ. ასეთი მაქინაცია ბაზარში გაუსვლელადაც ხდება. ნათესაური, ვითომ ბიძაშვილ-მამიდაშვილური გზით.

1976 წლის განმავლობაში უკანონოდ გასხვისებულ-გათოვებული ავტომობილებით 432 საჯარო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა. რის შედეგადაც გარდაიცვალა 95 და დაზავდა 555 ადამიანი. შემოწმებით დასტურდა, რომ მინდობილობებით დააქროლებენ ავტომანქანებს ის პირები, რომლებსაც არავითარი ნათესაური კავშირი არა აქვთ ავტომანქანის მფლობელებთან. ზღვა მასალიდან საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს დავასახელებთ.

სადგურ მცხეთის რესტორნის მუსიკოსი არტემ პეტრას ძე სპომინინი მინდობილობით მართავს გეოლოგ ჯემალ გიორგის ძე მელიძის ავტომანქანას („ბაზ-2108“ 68-01 გავ).

თბილისის მეხუთე სატვირთო ასს-ს მძღოლი მიხეილ ნესტორის ძე გურგენიძე მინდობილობით მართავს ნავთისა და გაზის მრეწველობის სამინისტროს ბუღალტრის ზინიანა რუხენის ასულ დვალის ავტომანქანას („ბაზ-2108“ 93-43 ბაზ).

გაერთიანება „პირიშის“ ფებსაცემელების მკერავი ვაჰა ივანეს ძე მიშაძის ძე მინდობილობით მართავს სტუდენტალურ ავტოგარაჟის მუშის ელგუჯა სოლომონის ძე ღვინიაშვილის ავტომანქანას („ვაზ-2101“ 19-73 ბაზ).

„საქავტოტექნიკის“ სამმართველოს თბილისის ავტოტექნიკოს-სახურების საწარმოო გაერთიანების № 59 ავტოსადგომის მიმდებარე-მოლარე გონდო ვარულის ძე ზინაშვილი მინდობილობით მართავს რუსეთის მეტალურგიული ქარხნის მუშაკის რამაზ მირიანის ძე ბაშრაძის (მცხ. ქ. რუსთაველი, ლენინის ქ. № 18/8-ში) ავტომანქანას („ბაზ-24“-ს 73-67 ბანი).

თბილისის მსუბუქი ტექსტოლოგების № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი ტიტალ მამაძის ძე ჯაბაძე ავტომანქანის შექმნისთანავე გაცემული ცხელ-ცხელი მინდობილობით მართავს მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო № 3 ტრესტის „თბილმრეწვების“ კომბინატის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის ნანუა ნიკოლოზის ასულ ნიკოლაშვილის ავტომანქანას („ბაზ-2101“ 19-44 ბაზ).

იგოეთის სასოფლო საავადმყოფოს ექიმი იაშვილი კონსტანტინე ასული ტომონიძე მინდობილობით მართავს თბილისის ქერამიკული კომბინატის უფროსის ოსტატის შოროშ ფილიპის ძე შალაშვილის ავტომანქანას („ბაზ-2106“ 06-75 ბაზ).

თბილისის მსუბუქი ტექსტოლოგების № 3 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი ფიროზიშვილი იასაძის ძე კიუხაშვილი მინდობილობით მართავს ვინმე ანდორ ილიას ძე შანუაშვილის ავტომანქანას („მოსპ-3101“ 57-38 ბაზ).

პენსიონერი შალვა დავითის ძე სულხანიშვილი მინდობილობით მართავს თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მრავალდარგიანი საწარმოთა გაერთიანების მთავარი ბუღალტრის ზინიანა კონსტანტინეს ასულ ხუჭაძის ავტომანქანას („ბაზ-2106“ 13-71 ბაზ).

თბილისის რესტორან „აერობრის“ მოტოროლერის მძღოლი ხარში მინეილის ძე სპომინინი მინდობილობით მართავს ამავე რესტორნის დირექტორის ელგუჯა ნიკიტას ძე ინჟირიშვილის ავტომანქანას („მ-21-21-41 ბრო).

მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 5 სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი ვაჰა ლეშანის ძე ჩაბრაშვილი მინდობილობით მართავს საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ოსკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსის მეცნიერ თანამშრომლის ბულნარა ლაინიძის ასულ ჩაჩაშვილის ავტომანქანას („ბაზ-2101“ 29-02 ბაზ).

როგორც ვხედავთ, მინდობილობების დოღა. ხომ არ შევეკითხოთ ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებების, ქარხნების, კომლექსების თუ საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, იმათ, ვინც ანაწილებს ავტომანქანებს: იცით თუ არა თქვენ, ვის გამოუყავით ავტომანქანა? პავლეზე გაცემულ ავტომანქანას პეტრე რატომ დაეუფლა? რა იმალება ამ გამკვირვებელ მინდობილობების მიღმა?

# მეზობლებს

ქრონული  
ბიზლირთქა

ნუ გამჭორავთ, ნუ დამწყველით!  
 შინ რომ რაიმე ახალ ნივთს, ან განვადებით შექმნილ ავეჯს შემოვიტან, ნუ გასკდებით გულზე შურით!

თქვენი ღლაპები ჩემს ბავშვებს ნუ გალახავთ, ჩემი საფოსტო ყუთიდან შურნალ-გაზეთებს ნუ ამოიღებენ!

პარის წინ ნაგავს ნუ მომიყრით!

ჩემი ტელეფონის ნომერს სხვას ნუ მისცემთ და, ჩემი ნერვების მოშლის მიზნით, ნურავის ნუ დაარეკვინებთ!

სარმცხს რომ გადავიკიდებ, ზევიდან ბინძურ წყალს ნუ ჩამომიხსამთ!

ანონიმურ წერილებს ნუ დამიწერთ და უმიზეზოდ ნუ მიჩივლებთ!

ჩემს ჯინაზე დილაადრიან რადიოლას, ან მაგნიტოფონს ნუ აბდავლებთ! თქვენ, თუ არ გძინებათ, ჩვენ გვაცალდეთ ძილი!

ღამის პირველ სათზე ნუ აღრიალებთ ტელევიზორს!.. მანქანის სიგნალითაც გვეყოფა გულის გაწყალება!

სტუმრები რომ გეწვევიან, ისე იცეკვეთ, ჭერიდან აბაჟური არ ჩამოვარდეს და თავზე არ დამეცეს!

სანაბვე მიღში ისეთ რამეს ნუ ჩაყრით, რაც არ ჩაეტევა!  
 რომ დაფრებით, ხმადაბლა იმდერეთ და სადარბაზოში უხმაუროდ შემოდით!

ცინი ომის გაჩაღების მიზნით ონკანს ნუ დატოვებთ ღიად და წყლით გაუღენით კერს ნუ ჩამომინგრევთ თავზე!

თქვენ ქალიშვილებს მინიკაბებს ნუ ჩააცმევთ, თვალს, წარბს, ქუთუთოებს, წამწამს, ტუჩებს, სახეს ცხრაფრად ნუ შეუღებავთ და ნუ გადაშირევთ ბაჭებს!

ჩემი ცოლი თუ შენს ცოლს წაეჩხუბა (ეს კი ვარდაუვალია!) ნუ აწყვები ქალების ენას, კაცურად გაუფგოთ ერთმანეთს!

სადარბაზოდან რომ გამოვალ, თავზე ნუ დამაფერთხავთ ზეწარს, ან რაიმე ძველმანს!

თქვენი ბინის წინ ეზოს ნუ შემოღობავთ და სხვის ბავშვებს თამაშს ნუ დაუშლით, ეზო სავართოა!

ჩემთან რომ სტუმარი მოვა, ნუ დაუწყებთ გამომძიებელივით ყველაფრის გამოკითხვას, მე თქვენს სტუმრებს ვეკითხები რაიმეს?!  
 აი, თუ ყველაფერს ამას შემხირულვით, ჩემი თავი თქვენ გენაცვალთ, კაცურად ღიმეზობლებთ!

ვანო ცინცაძე



## გოგი ჭორი მარბეზელია!

**მთავარი** ინჟინერი დილიდანვე ცმუკავდა თავის კაბინეტში. ყური მოეკრა, დირექტორს ხსნიანო და არ იცოდა რა ექნა! გაემხილა ვინმესთვის? — არ შეიძლებოდა: კვარტალის ბოლო იყო და ხალხი ჭორაობით საქმეს მოცდებოდა. არადა, ვერც უთქმელობას იტანდა. ნატრობდა, ნეტავ, დღეს კაბინეტის კარი არავინ შემოაღოს, ან, თუ შემოაღებს, სანდო კაცი მაინც აღმოჩნდესო..

მის ბელად, კაბინეტში პირველად მთავარმა ბუღალტერმა შემოაბიჯა.

— კირილე, ახალი ამბავი თუ გაიგე? — შევბით ამოსიყნთქა მთავარმა ინჟინერმა და მთავარ ბუღალტერს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, მერე მხარზე ხელი დაადო და თვალი თვალში გაუყარა. — ოღონდ იცოდე, რაც გითხარი, არაღის უთხრა, ჩვენს შორის დარჩეს!..

— მარტო ჩვენს შორის? — აულაულაჟდა ყბები კირილეს.

— რაგა?! საიმედო კანდიდატები ხომ არ გეგულებათ?!

— კი! მე მგონი, პორფირიჩი გამოდგება, რომ გაიჯუმხილით...

— სხვა?

— სხვა, ვარდენა და კოსტაც არ არიან ურიგო ბიჭები!

— სანდონი თუ არიან?

— წყალი არ გაუვათ!

— გოდერძიხე და ნანულისზე რას იტყვი?

— იციან ენაზე კბილის დაჭერა!

— ვარა?

— მაგას აუცილებლად უნდა ვუთხრათ, ბოლოსდაბოლოს, ჩვენი ვერტირანია!

— სოფიკო?

— თეგზია!

— სიმონი?

— სამარე!

— ყარაული რომაა, მიტო?

— ეჭვს გარეშეა!

— ახალი დამლაგებელი?

— მაგაზე რა მოგახსენო! ყრუ-მუნჯია, რომ უთხრა, გერ გაიგებს, და რომ გაიგოს, მაინც ვერ იტყვის...

— ძალიან კარგი! — უღვაშებში ჩაიციან მთავარმა ინჟინერმა და ეშმაკურად დაუმატა: — აბა, ახლა შენ იცი, კირილე, ჩამოუარე ყველას და შენებურად ჩაუჭიკიკი! აბა, შენ იცი!

იმ დღეს, მთავარი ბუღალტრის წყალობით, ყველა თანამშრომელმა იცოდა ეს ახალი ამბავი. ჭორაობას აზრი აღარ ჰქონდა! ვიღასთვის უნდა ეთქვათ? ისინი ყველანი თავიანთ ადგილებზე და მუშაობდნენ..

გალბაჯ ცოტაძე

— ალო, კუსო, იტალიაში მივდივარ და მაინტერესებს როგორი ბაზარია იმ!

### ბერტოლდ ბრეპტი

**შეუძლებელია** ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც იუმორის გრძნობა არ გაჩნიათ! მაგრამ აუტანელია ცხოვრება იმ ქვეყანაშიც, სადაც იუმორის გრძნობა თავის სარჩენადაა აუცილებელი!

\* \* \*

**სიმართლე** დროების პირმოშა და არა — ავტორიტეტის!

\* \* \*

**შბედურბ** ის ქვეყანა, რომელსაც არა ჰყავს გმირები! ნურას უკაცრავად! უბედურია ის ქვეყანა, რომელსაც გმირების გასაჭირი აქვს!

\* \* \*

**წმინდის** დამყარებას იქ თხოულობენ, სადაც ყველაზე დიდი უწესრიგობა გამეფებული.

\* \* \*

**აღამიანი** უნდა გადაეჩვიოს: იმ ადგილისკენ ღტოვვას, რასაც ფეხით ვერ მიაღწევს. იმ პრობლემებზე მოხსენებებით გამოსვლას, რომელთაც მოხსენებით ვერ გადაწყვეტს.

\* \* \*

**პირველი** მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში გამოვიდა წიგნი: „აღამიანი პარბი“. ამან მე ძალიან შემაშფოთა და მხოლოდ მაშინ ამოვიხსენებე შევბით, როდესაც ვიღაც კრიტიკოსმა დაწერა: „აღამიანი პარბი, გოგი — ბეპრედილი“.

მოაგროვა და თარგმნა სტანისლავ რაპინჩა



# ირონიული ღირიკა

## რა იცვლება

რა იცვლება ქორწინების შემდეგ?  
როგორია კომერსანტის აზრი?  
— ჩვენ ვყიდულობთ  
რაფაელის შედეგს,  
აღმოჩნდება  
რაფაელის ასლი!

## თამაშა

ხაჭაპურიდან ხაშლამამდე  
ხან ლექსებს ამბობს,  
ხან შარალებს  
და სავსე უანწით გვაშაშათებს  
ხაჭაპურიდან ხაშლამამდე.

## სტუმარი და მასპინძელი

აი,  
კიდევ  
ამ ცხოვრების  
უცნაური ესკიზი:


სტუმარი და მასპინძელი—  
ის ფრწე ღვას,  
ეს კი ზის

## დაბავშირდი!

დააკვირდი წუთისოფლის  
აუქციონს:  
ზოგი ცდილობს,  
საქმეს გვირდი აუქციონს,  
სხვას მოძმე და მეგობარი  
გაუქციონს,  
სხვას ოჯახი დაუნგრის,  
დაუქციონს,  
სხვას აჯობოს,  
თავში სისხლი ჩაუქციონს,  
რათა ბოლოს ჭიქას თავი  
წაუქციონს!

პანტანა ჯამანაჰე

ნახ. მ. მერაბიშვილისა



ნახ. მ. აბაშიძისა



— მამიკოსთან რატომ არ ჯდები?! ყური რომ ავიწყია, იმიტომ?!  
— ჰო! მამა რომ არის, თავზე ძი არ დავისვამ!



— ხედავ?! სამსახურში შესვლაზე ფულს თხოვლობს!  
— არაა გასაკვირი! ემ აღრე საკვალმყოფოს  
კარისკაცად მუშაობდა!

## გლადიატორის თაქისულება

უნივერსალური ზღვის ნიუარასავით ბზუოდა. ნოქრებს სახეებიდან საამო  
ღიმილი გაღმოსდიოდათ.

— ყველაფერს თავის ფასში ჰყიდიან!  
— ამით თუ ეს გაღატანეს, მაგასაც ვნახავ! — ჩურჩულებდნენ მყიდ-  
ველები.

— უცებ ვილაცამ იყვირა:  
— მოიბარეს!  
— რა?!

— აგერ, დაიჭირეთ!  
მყიდველების ალყაში მოექცა შავი, ცხვირგრძელა, ჭრელნაჭერამოლ-  
ლიავებული ქურდბაცაცა.

— რა მოიბარე?!  
— ?!  
— შენ გეუბნებიან!

მყიდველები შეიუფუნენ შერლოკ ჰოლმის მანტიაში. „ბრალდებულე-  
მა“ ეჭვმიტანილის ჩხრეკა დაიწყო. ვილაცამ კვალს მიაგნო:

— გერმანული საროქა მოუპარავს!  
— საროქა კი არა, პერანგი! — ვილაცამ გრამატიკის კუთხიდან შეუ-  
ტია.

— ჩვენ ვისიცხვებით, ეს კი ურიგოდ მიდის, თანაც იპარავს!  
— შენი ზომა მაინც არის! — შეითხვა შეაწიეს ქურდბაცაცას.  
ქურდბაცაცამ მხრები აიჩჩია.

— ამხანაგებო! ამან დღეს პერანგი მოიპარა, ხვალ მოიპარავს კოს-  
ტიუმს, პალტოს!..  
— პალტო მაქვს! — იყვირა ქურდბაცაცამ.

— ჰოდა, პალტოს, მანქანას, საწყობს...  
— უნდა დაისაჯოს!  
— აქტი შევადგინოთ! მოიტანეთ პერანგის ფაქტურა, არტიკული! —  
ბოლოქობდა ნებაყოფლობითი „ექსპერტი“.

ნოქრებმა ფაქტურის სხენებზე მსტოვარი აფრინეს უნივერსალის დი-  
რექტორთან. დირექტორი ხალხს მოსე კანონმდებელივით გამოეცხადა:

— როგორც ამ შენობის ერთ-ერთი უფროსი, მეც მაქვს სიტყვის უფ-  
ლება! ამხანაგებო, მე სწორად შემხვედრია ავანაკები, ქურდბაცაცები,  
გამიგზავნია აი, იქ! დმერთმა დაიფაროს ჩვენნიან!.. როგორც ვატყობ, ეს  
ახალგაზრდა ჩვენს უნივერსალში პირველად შემოვიდა, შეხედა მამაკაცის  
იმპორტულ პერანგს და მისმა სიღამაზემ აიძულა, უზიდა ქურდობისაკენ!..

რატომ მოიპარა?! აი, სად უნდა გავხსნათ კვანძი! ძველად რატომ იტაცებ-  
დნენ ლამაზ ქალებს? ახლა რატომ ირთავენ უღამაზო ქალებს?! იმიტომ,  
რომ კარგა ექსტრავაგანტურობა, მამაკაცის გერმანული პერანგიც ხომ  
მისი ერთ-ერთი კომპონენტია! ყმაწვილო, აბა, ერთი ჩვენი ხათრისთვის,  
ეს პერანგი ჩაიცვი! — მიმართა დირექტორმა ქურდბაცაცას.

ნოქრებმა ქურდბაცაცას უმაღ გადააცვეს მამაკაცის გერმანული პერანგი.  
— შეხედეთ, ნამდვილი ჩენტლმენია! აი, რა არის ჩაცმა-დახურვა!  
— უნივერსალის დირექტორი ესთეტიკურ გარემოს ჰქარავდა, თან ღვარად-  
წამოსულ ცრემლებს იწმენდა, — მშვიდობაში მოგახმაროს, ეგ ერთი და  
სხვა მრავალი!

მყიდველები დირექტორზე და, საერთოდ, უნივერსალის მუშაკებზე პა-  
ნეგირიკებს თხზავდნენ: ზეციურია! უკვდავია! ჰუმანისტები არიან! უნი-  
ვერსალი კი არა, აღზრდის აკადემია!

ქურდბაცაცა ტრიუმფატორივით სტოვებდა უნივერსალის კარებს, გა-  
სახლელში ვილაც უცნობი მამაკაცი გამარჯვებულის იერიით მიეგება:

— ხომ გითხარი, საროქები ლევად აქვთ მიღებული-მეთქი?!  
— კიდევ სად აქვთ ლევად მიღებული?!  
— ზუსტდებოდა ახალი კოორდინატები!..



7-1977

77-265

საქართველოს  
განმანათლებლო  
სისტემის განვითარების  
საქართველოს  
საქართველოს

საშინ  
ბავშვი!



77-265

— ქალბატონ ალა დაგვიყვანეთ, ყველაზე უფრო  
— აბა, გიყვარვარ, დღისათვის ვუბრუნებ!